ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3208978

ნომერი: AR1494171

თარიღი : 08.04.2017

გაცემის თარიღი : 13.04.2017

გაცნობის თარიღი : 18.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარინე ტლაშაძე პ/ნ 01013007590
- თბილისი ზ.დუმბაძის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

08 აპრილის №AR1494171 განცხადებით მომართა მოქ. მარინე ტლაშამემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი #63, შპს ,,ელზუროს" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. N 01.18.06.005.056) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული–სავაჭრო ობიექტები, ოფისები) შენობა N1–ის არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკური-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად მითითებულია 26187.8 კვ.მ ნაცვლად 27 920,0 კვ.მ-სა., საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 11076.0 კვ.მ ნაცვლად 14 334.5 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მითითებულია 3656.9 კვ.მ ნაცვლად 3258,5 კვ.მ-სა, ასევე 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომით არის მითითებული სარდაფის ფართობი.

სამსახურმა 2017 წლის 08 აპრილის №AR1494171 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული მოთხოვნა შეადარა 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტის სამშენებლო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად მიეთითოს 27 920,0 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 14 334.5, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 3258,5 კვ.მ, ამოღებულ იქნას 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან სარდაფის ფართობი.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებასთან ერთად ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.